

## გურგენიძე მ., შენგელია რ.

### ევროპული და ქართული რენესანსის ურთიერთმიმართების საკითხი და მედიცინა

#### თსუ, მედიცინის ისტორიის და ბიოეთიკის დეპარტამენტი

ევროპული რენესანსი (ფრანგ. Renaissance - თავიდან დაბადება, აღორძინება) ინტენსიურად XIV-XV საუკუნეებში განვითარდა და თითქმის 200 წელი გაგრძელდა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ რენესანსული იდეები და მსოფლმხედველობა, პერიოდულად, ადრე საუკუნეებშიც იჩენდა ხოლმე თავს, მაგრამ მასშტაბური სახე და მათგან განსხვავებული ფუნქცია არ მიუღია. რენესანსული ეპოქა არც იტალიური რენესანსის აფეთქებიდან 200 წელიწადში დასრულებულა და ის, როგორც ქვაკუთხედი, თანამედროვე ეპოქაშიც აგრძელებს სისხლსავსე ცხოვრებას და, საყოველთაო ჰუმანიზმის სახით, კაცობრიობის ეგზისტენციურ კვინტესენციას წარმოადგენს.

გვიან ანტიკურ ხანაში ოფიციალურად დამკვიდრებული ქრისტიანობა ბუნებრივ წინააღმდეგობაში მოვიდა წინარე კულტურასთან: ფილოსოფიასთან, ხელოვნებასა და სამეცნიერო კონცეფციებთან. აღმოსავლეთის საქრისტიანოში მოღვაწე მოაზროვნეები თავიდანვე შეეცადნენ მოეგვარებინათ ეს პრობლემა, რაც არცთუ წარმატებული გამოდგა: ბევრი მათგანი განიკვეთა ეკლესიიდან, ზოგიერთმა კი (ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, იოანე ოქროპირი, პროკლე დიადოქოსი და სხვა) ანტიკურ ფილოსოფოსთა შორის ქრისტიანობისთვის ყველაზე მისაღებ ფიგურაზე, პლატონზე, დაყრდნობით შექმნეს ამ მორიგების კონცეპტუალური ბაზა, რასაც მოგვიანებით ნეოპლატონიზმი დაერქვა და 7-8 საუკუნის შემდეგ ევროპულ რენესანსს დაედო საფუძველად.

რენესანსის იდეური ქარგა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: საუკუნეების განავლობაში განმტკიცებული თეოცენტრული სისტემა ჰუმანოცენტრულით შეიცვალა, რაც ნიშნავდა, რომ ამას იქით ადამიანი, მისი სხეული, გრძნობები და სურვილები უპირველეს ღირებულებას იძენდნენ. ჰუმანიზმი ის აღმატებული კატეგორია ხდებოდა, რასაც ყველა და ყველაფერი ექვემდებარებოდა; სოციალურ და საბუნებისმეტყველო პრობლემათა ხედვა მხოლოდ სამეცნიერო ჭრილში უნდა განხორციელებულიყო; ყველაზე ლამაზად, ისევე, როგორც ძველ საბერძნეთში, ადამიანის სხეული აღიქმებოდა; ფული, ვაჭრობა, სწრაფვა კეთილდღეობისკენ წახალისებელი იყო.

რელიგიამ ამ რევოლუციურ ეპოქაში, გარკვეულწილად, პოზიციები დაკარგა, თუმცა, ამასთან შეგუებას არავინ აპირებდა და ყოველივე „დემონურის“ დასათრგუნად ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი და სხვა) ინკვიზიცია, როგორც, ასე ვთქვათ, მორალურ-ზნეობრივი და რელიგიური დოგმატიკის დამცავი პოლიცია, გაჩნდა. XI საუკუნეში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოს შორის მოხდარი სქიზმის (ბერძნულად schisma - განხეთქილება.) შედეგად მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესია დაფუძნდა, რასაც შემდგომ კათოლიკურ ეკლესიაში განხეთქილებათა ჯაჭვი მოჰყვა და ე.წ. პროტესტანტული მოძღვრებების მთელი რიგი (ლუთერანიზმი, კალვინიზმი, ანგლიკანიზმი და ა.შ.) ჩამოყალიბდა. ეს რეფორმაციები ეკლესიურ დოგმათა და ლიტურგიათა გამარტივებასა და წმიდა წერილის საკუთარი ინტერპრეტაციით წაკითხვას გულისხმობდა.

იტალიური რენესანსის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ: სახვით ხელოვნებაში - ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო ბუონაროტი, რაფაელო სანტი და სხვა; არქიტექტურაში - ჯოვანი ბრუნოლესკი; ლიტერატურაში - დანტე ალეგიერი, ჯოვანი ბოკაჩო და ა.შ. რენესანსი ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური და ნაყოფიერი პერიოდი იყო კაცობრიობის ისტორიაში:

ბეჭდვისა და დენტის გამოგონება, ამერიკის აღმოჩენა, კოპერნიკის ახალი კოსმოლოგია, რეფორმაცია, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები - ყველა ამ ახალმა მოვლენამ შეუწყო ხელი მეცნიერების ზოგადად და, კერძოდ, მედიცინის განთავისუფლებას შუა საუკუნეების სქოლასტიკის დოგმატური საფუძვლებისგან. 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემამ ბერძენი მეცნიერები თავიანთი ფასდაუდებელი ხელ-ნაწერებით მთელ ევროპაში მიმოფანტა, რამაც შესაძლებელი გახადა არისტოტელესა და ჰიპოკრატეს შესწავლა უშუალოდ ორიგინალში და არა - მხოლოდ თარგმანების წყალობით.

რენესანსის დაწყება მედიცინის კლინიკებსა და ავადმყოფებთან დაბრუნების ნიშანი იყო, მისი არსებობა აღარ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მონასტრებით და უნივერსიტეტებით. ამავე დროს, ზოგიერთ უნივერსიტეტში უკვე ღიად და ზოგჯერ მკვეთრად აკრიტიკებდნენ „გალენიზმს“ და ცდილობდნენ სწორად განემარტათ კლავდიუს გალენოსის (II ს. ქრ.შ.-დან) ღირებული მიგნებები. ბევრგან ტარდებოდა ანატომიური დემონსტრაციები. დაიწყო 1558 წელს გამოქვეყნებული ანდრეას ვეზალიუსის ანატომიური ცხრილების და „ეპიტომეს“ გამოყენება (1543 წ.). 1594 წელს პადუას უნივერსიტეტში პირველი ანატომიური თეატრი აშენდა.

აღორძინების ეპოქის დიდი მხატვრები - ტიციანი, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, ალბრეხტ დიურერი, პაოლო ვერონეზე და მრავალი სხვა ანატომიური ნაშრომების ილუსტრირებას ახდენდნენ. ფასდაუდებელია ლეონარდო და ვინჩის წვლილი მედიცინაში. თავისი გენიალური წიაღსვლების შედეგები ლეონარდომ ანატომიური ნახატების მდიდარ კრებულში ასახა, რომელიც ტექსტურ ჩანაწერებსა და ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ ნაშრომების მიმოხილვის ფრაგმენტებთან ერთად „უინძორის კრებულს“ ქმნის. ჩვენს დრომდე დაახლოებით 150 დიდი ფურცელია შემორჩენილი, სადაც ლეონარდო თანმიმდევრულად წარმოადგენს ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილს. რაც შეეხება ლეონარდოს წვლილს სინდესმოლოგიასა და მიოლოგიაში, იგი, უპირველეს ყოვლისა, შეეცადა, რომ კუნთების და სახსრების სტრუქტურა დატვირთვისას და ფუნქციურ ურთიერთკავშირში შეესწავლა. ამრიგად, ლეონარდო შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციური და დინამიკური ანატომიის ფუძემდებლად.

ანატომიის სამეცნიერო სისტემად გარდაქმნა პირველ რიგში დიდი ანდრეას ვეზალიუსის (Vesalius, Andreas, 1514-1564) სახელთან ასოცირდება.

ახალგაზრდა ვეზალიუსი მედიცინას სწავლობდა პარიზსა და პადუაში, სადაც ჯერ ბაკალავრის, შემდეგ კი მედიცინის დოქტორის წოდება მიიღო. ვეზალიუსმა თავისი დაკვირვებები ანატომიურ ცხრილების სახით (1538) ჩამოაყალიბა, რომელთა ილუსტრირება იან სტეფან ვან კალკარმა, ტიციანის ნიჭიერმა სტუდენტმა, მოახდინა. 1543 წელს ვეზალიუსმა მოკლე სახელმძღვანელო „ეპისტოლე“ შექმნა, რომელსაც ანატომიური ცხრილებიც დაურთო. იმავე წელს, ბაზელში შვიდ წიგნად გამოიცა მისი მთავარი ნაშრომი: „შვიდი წიგნი ადამიანის სხეულის აგებულების შესახებ“ (De Humani Corporis Fabrica Libri Septem). მან შეაჯამა წინა საუკუნეების ანატომიის მიღწევები და დაამატა საკუთარი მონაცემი, რომელიც მრავალი გაკვეთის შედეგად ჰქონდა მოპოვებული. ტექსტს თან ახლდა ვან კალკარის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული 250 ნახატი.

სისხლის მიმოქცევის მცირე წრე დამოუკიდებლად და თითქმის ერთდროულად აღმოაჩინეს რეალდო კოლომბომ (Colombo, Realdo, 1510-1559) და migel servetma (Servet, Miguel, 1511-1553). მაგრამ ინგლისელი ექიმის უილიამ ჰარვის (Harvey, William, 1578-1657) არცერთ წინამორბედს არ მოუცია სისხლის მიმოქცევის ზოგადი სურათი და მისი მეცნიერული ახსნა.

ჰარვის მიერ მოცემულ სისხლის მიმოქცევის სისტემაში მნიშვნელოვანი როლი აკლავს - კაპილარები. შეუიარაღებელი თვალით მუშაობისას ან სუსტი ღინწების გამოყენებით მან ვერ შეძლო კაპილარული ქსელის დანახვა.

ჰარვის კვლევა გააგრძელა იტალიელმა ექიმმა მარჩელო მალპიგიმ (Malpighi, Marcello, 1628-1694), რომელიც მედიცინის პროფესორი იყო ბოლონიასა და პიზაში. კაპილარების ცირკულაციის აღწერით, მალპიგიმ სხეულში სისხლის მოძრაობაზე სრულყოფილი წარმოდგენა შექმნა. თავისი კვლევის წყალობით, მალპიგი დამსახურებულად ითვლება ჰისტოლოგიის ფუძემდებლად. ჰარვიმ თავისი ემბრიოლოგიური კვლევა განაზოგადა 1651 წელს წიგნში „ცხოველების დაბადების შესახებ“.

ტრადიციულად, ბუნების შესწავლის ახალი მეთოდის, თანამედროვე მეცნიერების დასაწყისის იდეა უკავშირდება გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის (Francis Bacon, 1561-1626) - ცნობილი ნაშრომის „ახალი ორგანონის“ ავტორის - სახელს. მის ნაშრომში გაცხადდა ექსპერიმენტული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების პროგრამა. ადამიანის ცოდნის კლასიფიკაციის შესახებ მსჯელობისას, იგი მედიცინას ფილოსოფიის განყოფილებაში რთავს: „მედიცინა, რომელიც არ ემყარება ფილოსოფიას, არ შეიძლება იყოს სანდო“. აღნიშნავს რა მედიცინის განვითარებაში პარაცელსის ღვაწლს, ბეკონი მის იმ მუდმივ სურვილზე წერს, რომლის თანახმად ალქიმიისა და მედიცინის საფუძველი გამოცდილება, ბუნებაზე დაკვირვება და ექსპერიმენტები უნდა გახდეს. ამასთან, ბეკონმა არაერთხელ აღნიშნა, რომ საჭიროა იატროქიმიკოსების მიერ შემოთავაზებული მედიკამენტების საფუძვლიანი შესწავლა. ფ. ბეკონის იდეების გავლენით მრავალი ექსპერიმენტი ჩატარდა ემბრიოლოგიაში.

XVII საუკუნეში, ფრენსის ბეკონის კვალდაკვალ, მედიცინის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დიდმა ფრანგმა ფილოსოფოსმა და მეცნიერმა რენე დეკარტმა (Descartes, Rene, 1596-1650). დეკარტის ფილოსოფია ემყარებოდა მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების დაზუსტებულ მონაცემებს და კვლევის დახვეწილ მეთოდებს. დეკარტმა შეადგინა ადამიანის მოძრაობის სქემა, რომელიც რეფლექსური აქტის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო აღწერილობაა. დეკარტი იყო იატროფიზიკის (Iatroi - მკურნალობა. ბერძნულად) (იატრომექანიკის) ერთ-ერთი ფუძემდებელი.

იატრომექანიკის (იატროფიზიკა, იატრომათემატიკა) განვითარება ევროპულ მედიცინაში დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტრიუმფთან. ს. სტივენის (1549-1620), გ. გალილეის (1564-1642), რ. დეკარტის (1596-1650), ჰ. ჰიუგენსის (1629-1695) და ი. ნიუტონის (1643-1727) ნაშრომებმა მექანიკა თანმიმდევრულ მეცნიერებად აქცია. მისი მეთოდები და კატეგორიები უნივერსალური, ყოვლისმომცველი ჩანდა: მათ ბიოლოგიასა და მედიცინაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ადამიანის ცნობიერებაში უპირატესი ადგილი დაიკავეს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს იტალიელი ფიზიკოსისა და ანატომის, ჯოვანი ალფონსო ბორელის (Borelli, Giovanni Alfonso, 1608-1670) როლი, რომელიც თავის ნაშრომში „ცხოველების მოძრაობის შესახებ“ შეეცადა მოძრაობებისთვის მკაცრად მექანიკური ინტერპრეტაცია მიეცა, რაც მათემატიკური ფორმულებით გამოიხატებოდა. ამან საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების მრავალ დარგს, რომლებსაც შემდეგ ბიომექანიკა, ბიონიკა და ა.შ. ეწოდა.

ფილიპე აურეოლ თეოფრასტ ბომბასტი ფონ ჰოჰენჰაიმი - პარაცელსი (Philippus Aureolus Theophrastus Bombastus von Hohenheim, 1493-1541) მსოფლიო მედიცინის ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა. 1515 წელს პარაცელსმა მიიღო სამედიცინო ხარისხი ფერარაში

(ჩრდილოეთ იტალია). 1527 წელს პარაცელსმა ბაზელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ლექციების კითხვა დაიწყო.

პარაცელსის მიხედვით, გამოცდილებაა მედიცინის საფუძველი. პარაცელსი და მისი მომხრეები დაჟინებით მოითხოვდნენ ქიმიური წამლების გამოყენებას. ისინი დაავადების მექანიზმს სხეულის შიგნით ქიმიური პროცესების დარღვევით ხსნიდნენ და ბუნებრივია, რომ ამ დისბალანსის აღდგენას ისევ ქიმიური ნივთიერების გამოყენებით ცდილობდნენ. პარაცელსის გამოთქმა, რომ საწამლავსა და წამალს შორის განსხვავება მხოლოდ დოზაშია, ეხმაურება 27 საუკუნის წინანდელ კოლხეთში მითიური მედეას მიერ მოწოდებულ პრინციპს ბუნებრივი რესურსიდან აქტიური ნივთიერების კონცენტრირებით შხამის მიღებისა და შემდგომ მისი განზავებით წამლის დამზადების შესახებ.

ევროპაში, რენესანსის პერიოდში ქირურგიული საქმიანობა ჯერ კიდევ დალაქებისა და მეწაღეების ხელში იყო და, როგორც ერთგვარი ხელოსნური ქვეპროფესია, მედიცინის მიღმა მოიაზრებოდა. სანამ ანესთეზია მიუწვდომელი რჩებოდა და დაჩირქება ჭრილობის შეხორცების აუცილებელ თანამდევად ითვლებოდა, მნიშვნელოვანი პროგრესი მოსალოდნელი არ იყო. ამ ფონზე შეუსაბამოდ მოჩანს აღმოსავლეთის ქვეყნებში ქირურგიის საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარების ფაქტები. აქ არაბ ქირურგებთან ერთად აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მე-15 საუკუნის გამოჩენილი ქართველი ექიმი და მოაზროვნე ზაზა ფანასკერტელი, რომელიც წარმატებით აკეთებდა ლაპარატომიებს, ოპერაციებს თირკმელზე, გულისა და მსხვილი სისხლძარვების მიმდებარე არეში, სიცოცხლისთვის მნიშვნელოვან სხვა ორგანოებზე.

ამბროუაზ პარე (Pare, Ambroise, daaxl. 1517-1590), თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექიმი, წარმომავლობით დალაქთა კლასიდან, პარიზის საავადმყოფოში ქირურგიას სწავლობდა. 1554 წელს პარე შეიყვანეს პარიზის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეგიაში. პარე იყო პირველი ქირურგი და მეანი ჰენრი II-ის, ფრენსის II-ის, ჰენრი III-ისა და კარლ IX-ის კარზე. XVI საუკუნის ქირურგიის განვითარებაში პარეს დამსახურება ძალიან დიდია. იმდროინდელი მრავალი სამედიცინო პრობლემა ევროპაში ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენას უკავშირდებოდა. პარემ დაადასტურა ცეცხლსასროლი იარაღის ჭრილობების არატოქსიკურობა და ცხელი რკინით ან მდუღარე ზეთით მკურნალობის მცდარობა და, მეტიც, მავნებლობა. 1550 წელს ა.პარემ გამოაქვეყნა ანატომიური სახელმძღვანელო, 1561 წელს - წიგნი ჭრილობების მკურნალობის შესახებ და 1564 და 1572 წლებში - ორი შესანიშნავი შრომა ქირურგიის შესახებ, რომლებმაც მას პოპულარობა მოუტანა.

ჩვენ დასაწყისში უკვე ვახსენეთ პოლიტიკური პროცესები, რომელთაც ხელი შეუწყვეს აღმოსავლეთიდან რენესანსული იდეების გავრცელებას დასავლეთისკენ, სადაც მათ ნოციერი ნიადაგი ნახეს და საბოლოოდ დასავლურ ცივილიზაციას ჩაუყარა საფუძველი. მეცნიერები ხშირად საუბრობენ ბიზანტიასა და მის მიმდებარე სახელმწიფოებში მიმდინარე ღრმა და არაერთგვაროვან რელიგიურ და ფილოსოფიურ პროცესებზე. რენესანსული პროცესები აქ ბევრად ადრე დაიწყო და საკმაოდ გარკვევით ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, როცა ნიკიფორე ბლემიდემ განაცხადა, რომ ქვეყანას „მეფე-ფილოსოფოსი“ უნდა მართავდესო. ეს „მეფე-ხუცესის“ ალტერნატივა იყო და აზროვნების რენესანსულობაც გამო-იკვეთა. აღმოსავლური ქრისტიანობის ერთი საინტერესო და თვითმყოფადი ნაწილი საქართველო და ბიზანტიის იმპერიასა თუ სხვა სახელმწიფოებში შემავალი ისტორიულად ქართველებით დასახლებული ტერიტორიებიც იყო. ეს ერთიანი კულტურული არეალი გახლდათ. ამ პერიოდში, საინტერესო და ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა ჩანს ტრაპიზონის არქიეპისკოპოსის ბესარიონის სახით, რომელიც, ასევე, მიგრირებული იქნა რომში, სადაც ის კათოლიკურ მრწამსზე გადავიდა, კარდინალის მანტიას მოისხა და იტალიური რენესანსის

ერთ-ერთი იდეოლოგი გახდა. ამ პიროვნებისა და მისი ქართულ სამყაროსთან კავშირის შესწავლა მომავლის საქმეა.

**საქართველო და რენესანსი.** გერმანელი მეცნიერი ვერნერ სიმენსი, რომელიც სამჯერ იმყოფებოდა საქართველოში (1865 წ., 1868 წ., 1890 წ.), აღ-ფრთოვანებული იყო გელათის მონასტრით და თავის მოგონებებში წერდა: „კავკასიის არქიტექტურული ძეგლების სიძველე იზომება არა საუკუნეებით, როგორც ევროპაში, არამედ - ათასწლეულებით ... რასაც შეხედავთ, რასაც გაიგონებთ, ყველაფერი მოწმობს იმ ფაქტს, რომ ადამიანთა კულტურის აკვანი კავკასიაშია“. ქართული (კავკასიური) კულტურის მნიშვნელობის ასეთ შეფასებას იმეორებენ გეორგ ვილჰელმ ჰეგელი, ბლუმენბახი, კურტ იოაჰიმ შპრენგელი და სხვები.

ქართული რენესანსი და, კერძოდ, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სპონტანურად არ გაჩენილა - მისი ფესვები წარსულიდან საზრდოობდა. ცნობილია, რომ თვით ადრეული ფეოდალური ხანის ქართული მითოსური, საისტორიო და ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა საერო ორიენტაციით ხასიათდება. ქართული ლიტერატურის განვითარება IV-V საუკუნეებიდან რუსთაველის ეპოქამდე, ანუ XII-XIII საუკუნეებამდე, წმინდა სახის საერო მხატვრული მწერლობა საქართველოში ბრწყინვალედ განვითარდა. სწორედ ამ „წმინდა საერო“ ქართულმა მწერლობამ ნიადაგი მოამზადა X-XI საუკუნეების ქართული რენესანსის ჩამოყალიბებისთვის. IV-V საუკუნეებიდან შეიქმნა ქართული კულტურული და საეკლესიო ცენტრები როგორც საზღვარგარეთ, ისე თავად საქართველოში. პალესტინაში პეტრე იბერისა და იოანე ლაზის მიერ დაარსებული მონასტრები (IV ს.), საბაწმიდის ქართული ლავრა (V ს.), ილარიონ ქართველის სასულიერო ცენტრი ბითვინის ოლიმპოზე და ქართველთა რომანას მონასტერი კონსტანტინოპოლის მახლობლად (IX ს.), შავი მთისა და კვიპროსის მონასტრები (VIII-IX სს.), ათონის ივერთა მონასტერი (X ს.) და ა.შ. ამ მონასტრებში საქართველოს მოღვაწეებმა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს. ქართულ საეკლესიო-სამონასტრო საქმიანობაში თავიდანვე ორი მიმართულება გამოიკვეთა: საეკლესიო-სასულიერო და საერო-სამეცნიერო. თვით საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებლებიც კი, წმინდა ნინო და ცამეტი ასურელი მამა, ქრისტიანობის გასავრცელებლად მედიცინას იყენებდნენ.

როგორც ითქვა, ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანობის მორიგებას ბევრჯერ ეცადნენ (პლოტინი, მანე და ა.შ.), მაგრამ ყველაფერი ამ ავტორთა ერეტიკოსებად შერაცხვით დამთავრდა. მხოლოდ კაპადოკიაში, ისტორიულად ქართული ტომებით დასახლებულ ქვეყანაში, იქაური წმინდა მამების მეშვეობით მოხდა ამ მიმართულებით წარმატებული ნაბიჯების გადადგმა. V-VI საუკუნეებში შექმნილი ეს ლიტერატურა საქართველოში მოგვიანებით გადმოითარგმნა. მაშინ სამეცნიერო და საერთაშორისო-კულტურული და სამეცნიერო ენა ბერძნული იყო და მსგავსი ნაწარმოებები ძირითადად ამ ენაზე იქმნებოდა.

X-XIII საუკუნეებში შეიქმნა ქართული ბიოსამედიცინო ლიტერატურა ანატომიური და ფიზიოლოგიური ტრაქტატებისა და ძეგლების სახით, წარმოდგენილი როგორც ძველი ავტორების თარგმანით, ასევე ორი-გინალური ნაწარმოებებით: გიორგი მთაწმინდელის თარგმანები „ევქუსთა დღეთაჲ“ (ბასილ კესარიელი); „კაცისა შესაქმისათვის“ (გრიგოლ ნოსელი), იოანე პეტრიწის „ბუნებისათვის კაცისა“ (ნემესიოს ემესელი), კანანელის „უსწორო კარაბადინი“, ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმო“ და ა.შ.

გიორგი მთაწმინდელი გამოჩენილი მოღვაწე იყო ათონის ივერთა მონასტერში. თავისი მთარგმნელობითი საქმიანობით იგი, არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწთან ერთად, არის ძველი საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ფილოსოფიური აზროვნების ფუძემდებელი, „ქართული აღორძინების ეპოქის შემქმნელი“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ინფორმაცია (XII ს) ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების სფეროში სერიოზული კვლევითი მუშაობის არსებობის მაჩვენებელია. ისტორიკოსი, აღწერს რა დავითის დიდ საქმეებს, იუწყება, რომ "დავითის თანამედროვე მწიგნობრები ცდილობენ ჩასწვდნენ ლომისა და ვეფხვის სხეულის თუ უმნიშვნელო ყვავილის აგებულებას, ისევე, როგორც ადამიანის ჩრდილით შეუცნობელის გაგება და წარმოდგენა შესაძლებელი".

ამრიგად, არა მხოლოდ გიორგი მთაწმინდელი, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი, არამედ, საერთოდ, დავით აღმაშენებლის მეფობისა და შემდგომ პერიოდში, საქართველოში, როგორც ჩანს, მრავლად იყვნენ მეცნიერი მკვლევრები, რომლებიც ბუნების საიდუმლოებების ახსნას ესწრაფვოდნენ. ამავე ეპოქაში არაბული ენა იქცა საერთაშორისო და სამეცნიერო Lingua franca-ად და, საფიქრალია, რომ ბევრი ქართველი მეცნიერი არაბულად წერდა. მარტო "ალ-ტიფლისის" (თბილისელი) სახელით არაბულ ისტორიაში 60-მდე მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა აღნუსხული.

იოანე პეტრიწმა პროკლე დიადოქოსის „სტიქიების“ თარგმნით, აგრეთვე „განმარტებით“ განვითარებული შუასაუკუნეების ქართულ ნეოპლატონიზმს ჩაუყარა საფუძველი. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში განუწყვეტელი შემოსევები დაიწყო. მონღოლთა ბატონობამ გამოიწვია ქართული კულტურის დონის მკვეთრი დაცემა. დაირღვა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს მთლიანობა. განადგურდა საქართველოს განათლებისა და კულტურის ცენტრები. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სამედიცინო საქმიანობაც დაზარალდა.

XVI-XVII საუკუნეებში განახლდა ინტენსიური სამედიცინო და ლიტერატურული საქმიანობა: უძველესი სამედიცინო ძეგლების გადაწერა და განახლება. ამ პერიოდის პირველ ნახევარს მიეკუთვნება ძველი ქართული მწერლობის ბრწყინვალე ძეგლები ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი - კარაბადინი“ და დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი“, რომლებიც ფართოდ გავრცელდა და იმდროინდელი ექიმების მიერ პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება მთელი რიგი დასკვნების გამოტანა:

ქართული რენესანსი უდავო ისტორიული ფაქტია, რასაც ქართველი და უცხოელი სპეციალისტების დამაჯერებელი მოსაზრებები ადასტურებს. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ 1190-1200 წლებში შეიქმნა, ანუ ევროპულ შედეგებზე (ბოკაჩოს „დეკამერონი“ და დანტეს „ღვთაებრივი კომედია“) 100-150 წლით ადრე. ქართული რენესანსის გვირგვინს - „ვეფხისტყაოსანს“ - წინ უსწრებდა ქართული მედიცინისა და ბიოსამედიცინო აზროვნების განვითარება, რამაც რენესანსის მოთხოვნების დონეს მიაღწია და ყველაფერი ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროთაგანი, რომელიც შოთა რუსთაველის გენიას ასაზრდოებდა. ქართული რენესანსი, ისევე როგორც მთლიანად ქართული კულტურა, არის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილი იმ კულტურისა, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის გასაყარზე იქმნებოდა.

#### ლიტერატურა:

1. Conrad L. Bynum W.F., The Western Medical Traditions. 800 BC to AD 1800. Cambridge. 1995.
2. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი.1980.

3. Мультановский М. П. „История медицины“, Государственное издательство медицинской литературы. Москва, 1961
4. ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბილისი. 1956.
5. Семёнова Е. А., Лузгин, В. В. Исторические аспекты научного знания. История науки и техники, 2003.
6. Сорокина Т.С., История Медицины. 8-е изд. Москва. 2008
7. Фёдоров Л. Ю. Наука и прогресс. М., Знание, 1983.
8. Шенгелия М. Ренессанс и древняя Грузинская медицина, 1985.
9. შენგელია რ., მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია, 2012.
10. შენგელია რ., კულტურა და ცივილიზაცია. 2014.
11. Чолаков В. Учёные и открытия. М., Мир, 1987.

## SUMMARY

Gurgenidze M., Shengelia R.

**Relationship issues of European and Georgian Renaissance and Medicine**

**TSMU, DEPARTMENT OF MEDICAL HISTORY AND BIOETHICS**

This article discusses the era of the Renaissance. It presents the conditionalities and prerequisites that made the educated part of the society to become more inclined to learn about the antique culture. In scientific and philosophical works of that age, as well as in artworks, an observer can see and feel the praise for humans, their body, their desires and emotions. This article brings up scientific progress in the fields of anatomy, physiology and surgery, it highlights the new avenues as well such as iatrophysics and iatrochemistry. Article discusses those cultural foundations that helped to introduce and form the Georgian Renaissance and credits those whose contribution helped to develop Georgian medicine. Georgian Renaissance is, as its whole history, an inseparable part of a culture that formed right in between Western and Eastern worlds.